

ვალერიან მებრეველი
გიორგი ღავითაშვილი

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია

(ლექციების კურსი)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი

1999

§1. ძველი ეგვიპტის პოლიტიკური იდეოლოგია

ძველი ეგვიპტის მონათმფლობელური სახელმწიფო ჩვ.წ. აღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულში ჩამოყალიბდა. აღნიშნული სახელმწიფო აღმოსავლური დესპოტიის სახეს ატარებდა, რომლის სათავეში გაღმერთებული ფარაონი იდგა. ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს ჩამოყალიბება განპირობებული იყო მორწყვის ორგანიზაციის ამოცანებითა და რთული საირიგაციო მშენებლობების აუცილებლობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ეგვიპტეში გაბატონებულ იდეოლოგიას რელიგია წარმოადგენდა. რელიგია აღმერთებდა ფარაონს და მას მიწიერ ღმერთად მიიჩნევდა. იგი მზის ღმერთის რას ძედ იწოდებოდა და ყოველგვარი მოვლენა დედამიწაზე ფარაონის ნება-სურვილით განისაზღვრებოდა. ამავე თვალთახედვით ფარაონი უკვდავიც იყო. იგი კი არ კვდებოდა, არამედ თავის სამუდამო სამყაროში გადადიოდა.

ეგვიპტის გაბატონებული ფენების შეხედულებანი თავს იჩენს ეგვიპტის წარჩინებულთა ერთ-ერთი წარმომადგენლის *პტახოტეპის* მოძღვრებაში. პტახოტეპს თავის დროზე მაღალი მდგომარეობა ჰქონდა სახელმწიფოში, მას თვით ვეზირის თანამდებობაც კი მიუღია, ე.ი. მთელი ადმინისტრაციული აპარატის უფროსი ყოფილა.

პტახოტეპი ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვით უთანასწორობა ბუნებრივი და სამართლიანია. იგი მდაბიო~~ბ~~^ეებს კეთილშობილთა და მორჩილებისაკენ მოუწოდებს: „კეთილშობილთა წინაშე ხელები უნდა ჩამოუშვათ და ქედი უნდა მოხაროთ“. ამასთან, პტახოტეპი კეთილშობილებსაც მიუთითებს, რომ არ გამოიჩინონ სიამაყე, არ დაჩაგრონ და დაამცირონ ისინი, არ დაესხნენ თავს და ა.შ. პტახოტეპის აზრით, დაშინება მხოლოდ მეფესა და ღმერთს შეუძლია, სხვას - არავის.

პტახოტეპი, ერთი მხრივ, იძლევა რჩევას სიმდიდრის მოპოვების გზების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, აკრიტიკებს სიმდიდრის მომხვეჭელებსა და ხარბებს. იგი აცხადებს, რომ სიმდიდრე არის მომაკვლინებელი ავადმყოფობა, რომელიც ანგრევს ოჯახს და ანადგურებს ნათესავთა შორის კეთილ დამოკიდებულებას.

ეგვიპტეში, დაასლოებით მესამე ათასწლეულის შუახანებიდან, ადგილი აქვს ქვეყნის დეცენტრალიზაციას, რომელიც მესამე ათასწლეულის

ბოლომდე, ანუ მეათე და მეთერთმეტე დინასტიამდე გრძელდება, მესამე ათასწლეულის ბოლოდან კი კვლავ იწყება ქვეყნის გაერთიანება. აღნიშნულ პერიოდში ადგილი ჰქონდა გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას, რომლის შესახებაც მოგვითხრობს მეათე დინასტიის მეფის ახტოის დარიგება, სწავლება თავისი შვილისათვის.

სწავლების ავტორი მიუთითებს მშრომელთა მკაცრ, მაგრამ ფრთხილად დათრგუნვის აუცილებლობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამბოხებულთა წინააღმდეგ დაუნდობლობა აუცილებელია, მონათა აჯანყება ცეცხლითა და მახვილით უნდა იქნეს ჩახშობილი. მეფე ახტოი ასევე მიუთითებს, რომ ხალხის გამოსვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარკვეულ ღათმობებზე წასვლა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში ეგვიპტეში ადგილი ჰქონდა მონებისა და ღარიბი მოსახლეობის აჯანყებას, რის შემდეგაც მოხდა მდიდრების ქონების მასიურად მითვისება-განაწილება. მაგრამ აჯანყება სტიქიურ ხასიათს ატარებდა და იგი დამარცხდა.

ამ აჯანყების მიმდინარეობა და მისი შედეგი აღწერილია *იპუსერის* მოძღვრებაში. იგი არისტოკრატთა წრეს განეკუთვნებოდა, ამიტომ თუ შეძრწუნებულა მეფის დატყვევებით, სახელმწიფო წყობის, სასამართლო სისტემის მოშლით. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ აჯანყებამ მოშალა ცხოვრების მთელი სისტემა. იპუსერი სულმოუთმენლად ელოდება როდის დაუბრუნდება ყველაფერი ძველ წესწყობილებას. კარგი იქნება, - აღნიშნავს იგი, - როდესაც აღდგება ძველი თანამდებობები, როდესაც საკუთრება კვლავ დაცულ იქნება და სხვ.

ეგვიპტის მონათმფლობელთა იდეოლოგიას გამოხატავს ასევე *ამენემოპე* (დაახლოებით X-IX ს. ჩვ. წ-მდე). ამენემოპეს სწავლა-მოძღვრება საკუთარ შვილს ეძღვნება, რომელშიც ეგვიპტელი არისტოკრატის განწყობილებაა გამოხატული. ეგვიპტის წარჩინებულობა შემფოთებულია მონათა აჯანყებით, ამიტომ ამენემოპე მათ სიფრთხილისა და ზომიერებისაკენ მოუწოდებს. ავტორი უარყოფს წარჩინებულთა მიერ სხვისი მიწების დაუფლებას. იგი მიწების გადანაწილების წინააღმდეგია. ამენემოპეს აზრით, ადამიანი უძლურია ღმერთის წინაშე, ღმერთი განაგებს ყველაფერს, ამიტომ ავტორი მოუწოდებს ყველას დაუჯერონ ქურუმებს, როგორც ღმერთის მსახურებს.

§2. ძველი ბაბილონის პოლიტიკური მოქმედებანი

ძველი ბაბილონი, ისევე როგორც ძველი ეგვიპტე, წარმოადგენდა აღმოსავლური ტიპის მონათმფლობელურ სახელმწიფოს, რომელიც შუამდინარეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ბაბილონის სახელმწიფომ აყვავებას მე-18 საუკუნეში ჩვ.წ-მდე ჰამურაბის მეფობის დროს მიაღწია.

ბაბილონის პოლიტიკური იდეოლოგია, ეგვიპტის იდეოლოგიის მსგავსად, გამსჭვალულია რელიგიური წარმოდგენებით. მათი აზრით, ღმერთები განაგებენ ადამიანთა ბედს. ისინი ღმერთების ხელშეწყობით იგერიებენ ან თავს ესხმიან ამა თუ იმ ხალხებს. გაბატონებული ფენების შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე რელიგიურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ჰამურაბის კანონებში აღნიშნულია, რომ მეფის ხელისუფლება ღვთიური წარმოშობისაა. მეფე, ჰამურაბის აზრით, ღმერთის მსგავსი არსებაა, რომელიც იცავს სუსტებს, იგი სამართლიანი, ბრძენი და ძლიერია.

ჰამურაბი თავის კანონებს მონათმფლობელთა ინტერესების გამოხატვისა და მონათმფლობელური სახელმწიფოს განმტკიცების იარაღად მიიჩნევს. ამასთან, იგი შთამომავლობას მოუწოდებს არავითარი ცვლილებები არ შეიტანონ მის მიერ შედგენილ კანონთა კრებულში.

§3. ძველი ინდოეთის პოლიტიკური და სამართლებრივი მოქმედებანი

ძველი ინდური პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნება ჩამოყალიბდა და განვითარდა მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების გავლენით. ამასთანაა დაკავშირებული ის დომინირებული მდგომარეობა, რომელიც ძველი ინდური საზოგადოების სულიერ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საუკუნეების მანძილზე ეკავათ ქურუმებს (ბრაჰმანებს). სწორედ ბრაჰმანებმა შექმნეს ახალი იდეოლოგია *ბრაჰმანიზმი*, რომლის ჩანასახები ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ-ის II ათასწლეულის ძველი ინდურ საღვთო წიგნებში - ვედებში გვხვდება („ვედა“ სანსკრიტზე „ცოდნას“ ნიშნავს). უკვე ვედებშია საუბარი საზოგადოების ოთხ ვარნად დაყოფაზე. ესენია: ბრაჰმანები (ქურუმები), ქშატრიები (მეომრები), ვაიშები (მიწათმოქმე-

დები, ხელოსნები და ვაჭრები) და შუდრები (უმდაბლესი ვარნა). ბრაჰმანიზმი, როგორც იდეოლოგია, მიმართული იყო ბრაჰმანებისა და საგვარეულო არისტოკრატის გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფად. პირველი ორი ვარნა გაბატონებული, პრივილეგირებულია, ხოლო ორი დანარჩენი კი - დაქვემდებარებული.

ბრაჰმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო დოგმატი სულთა გადასახლების შესახებ, რომლის მიხედვითაც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული კვლავ ბრუნდება დედამიწაზე და უფრო დაბალი წარმოშობის ადამიანის ან ცხოველის სხეულში ჩაისახება, რა თქმა უნდა, თუ ეს ადამიანი წინა ცხოვრებაში არასწორად იქცეოდა, ხოლო თუ მართალი ცხოვრების გზა განვლო მისი სული მომავალ ცხოვრებაში უფრო მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე ადამიანის სხეულში გადავიდოდა. ადამიანის ქცევასა და მის შემდგომ გარდასახვას ბრაჰმანები იმისდა მიხედვით აფასებდნენ, თუ როგორ ასრულებდა იგი მისთვის განსაზღვრულ დხარმებს - საკულტო, საზოგადოებრივ და საოჯახო ვალდებულებებს, რომლებიც თითოეული ვარნისათვის ღმერთების მიერაა დაწესებული.

დაახლოებით ძვ.წ. აღ-ის მე-2 საუკუნეში შეიქმნა ცნობილი პოლიტიკურ-სამართლებრივი ძეგლი „მანუს კანონები“, რომელიც უფრო ძველი წყაროების საფუძველზეა შედგენილი.

მანუს კანონები საზოგადოების ვარნებად დაყოფას, მის მემკვიდრეობას - ღვთაებრივი მიზეზით ხსნიდა. კერძოდ, ღმერთმა თავისი ტურნებიდან უმაღლესი კასტა - ბრაჰმანები შექმნა, ხოლო ხელებიდან - ქშატრიების კასტა, თეძოსაგან - ვაიშების, ფეხებიდან - უმდაბლესი კასტა - შუდრა.

მანუს კანონების მიხედვით, ბრაჰმანების ძირითადი საქმიანობა რელიგიური წიგნებისა და რელიგიის შესწავლაა, აგრეთვე იგი სხვებისთვის სწავლებასაც ითვალისწინებს. ქშატრიების დანიშნულებაა ხალხის დაცვა; ვაიშების - პირუტყვის მოვება, ვაჭრობა და მიწის დამუშავება, ხოლო რაც შეეხება შუდრას, ე.ი. დაბალ კასტას, იგი უნდა ემსახუროდეს ზემოთ აღნიშნულ სამ კასტას.

მანუს კანონები აღმერთებენ მეფეს, რადგან მეფე შექმნილია სხვადასხვა ღმერთების საუკეთესო თვისებებიდან. მანუს კანონები აფრთხილებს ყველას, ვინც მეფეს წინ აღუდგება, რომ ცეცხლი დასწვავს მას და აგრეთვე მის ოჯახს. თავის მხრივ, მეფე უნდა იცავდეს კასტურ წყობი-

ლებას, ხელმძღვანელობდეს სახელმწიფოს, არმიას, საგარეო პოლიტიკას, გადასახადების აკრეფას. იგი, ამავე დროს, უმაღლესი მოსამართლეცაა, რომელიც ან უშუალოდ წყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს, ან მათ გადაწყვეტას, მან-უს კანონების მიხედვით, ავალებს მოსამართლეებს. მეფე ვალდებულია ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მოეთათბიროს ბრაჰმანებს, გაითვალისწინოს მათი ინტერესები და ა. შ.

მან-უს კანონებში სპეციალურადაა მითითებული იმის შესახებ, რომ შუდრამ ბოლო არ მოუღოს ბრაჰმანთა ბატონობას. ამის გამო დაბალი კასტის წარმომადგენლები სასტიკად დაისჯებიან (პირსა და ყურეში ცხელი კუპრის ჩასხმით).

ბრაჰმანული იდეოლოგიის საპირისპიროდ ძვ.წ. აღ-ის VI საუკუნეში იქმნება ახალი რელიგიური მიმდინარეობა *ბუდიზმი*, რომელიც ძველინდური პოლიტიკური და სამართლებრივი იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობაა. მისი ფუძემდებელია სიდჰარტი, შემდგომ ბუდად წოდებული (ბუდა სასწრაფო სხივმოსილს, განათლებულს, ბრძენს ნიშნავს).

ბუდა და მისი მიმდევრები აღიარებდნენ ყველა ადამიანის ზნეობრივ-სულიერ თანასწორობას და აკრიტიკებდნენ ვარნების სისტემას, მათი უთანასწორობის პრინციპს. „ბრაჰმანი“ ბუდისტებისათვის არის არა პრივილეგირებული ვარნის წევრი, არამედ ყოველი ადამიანი, რომელმაც თავისი წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად სრულყოფას პირადი ძალისხმევით მიაღწია. კერძოდ, ცნობილ ბუდისტურ კანონში „დჰამაპადა“ (IV-III სს. ჩვ.წ. აღ-მდე) ხაზგასმულია: „მაგრამ მე არ ვთვლი ბრაჰმანად ადამიანს მხოლოდ მისი წარმოშობისა და დედის გამო“.

დხარმის ბრაჰმანულ განმარტებას ბუდიზმმა დაუპირისპირა თავისი, უფრო რაციონალური მიდგომა ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი. ბუდისტური ინტერპრეტაციით დხარმა წარმოგვიდგება, როგორც ბუნებრივი კანონზომიერება, ბუნებითი კანონი. გონივრული ქცევისათვის აუცილებელია ამ კანონის შეცნობა და გამოყენება. აღრეული ბუდიზმის მთელი მსოფლმხედველობა გამსჭვალულია ჰუმანიზმის, სხვა ადამიანებთან კეთილი დამოკიდებულების ქადაგებით. ბუდიზმის მიხედვით დაუშვებელია ბოროტებისადმი ბოროტებითა და ძალადობით დაპირისპირება.

„დჰამაპადაში“ გამოვლინდა ბუდიზმისათვის დამახასიათებელი სასჯელის მასშტაბებისა და როლის შეზღუდვის ტენდენცია. ხაზგასმუ-

ლია ბრალის არარსებობისას სასჯელის გამოყენების დაუშვებლობა.

ბუდისტური მითითება გადარჩენის ინდივიდუალურ გზასა და ნირვანას მიღწევაზე (ნირვანა - უმაღლესი გასხივოსნების მდგომარეობა, ყოველგვარი მიწიერი ვნების, სურვილის გაქრობა, სულის სრული სიმშვიდე) მანიშნებელია იმისა, რომ ბუდიზმისათვის დამახასიათებელია ერთგვარი უყურადღებობა რეალური პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენებისადმი. ეს უკანასკნელნი განიხილებოდა, როგორც მიწიერ უბედურებათა საერთო ჯაჭვის ნაწილი, ამიტომ ბუდისტური მოძღვრება ღზარმის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყო უპირატესად „შინაგანი“ გამოყენებისათვის, ბუდას მიმდევართა ვიწრო წრისათვის.

მაგრამ უკვე ჩასახვისთანავე ბუდიზმის მრავალ იდეას აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ბუდიზმის მიმდევართა ზრდის კვალობაზე მისი მნიშვნელობაც იზრდებოდა. ბუდიზმის იდეებმა თანდათანობით დაიწყო გავლენის მოხდენა სახელმწიფოებრივ პოლიტიკასა და კანონმდებლობაზე. ამოკის მმართველობისას (268-232 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე), რომელმაც გააერთიანა ინდოეთი, ბუდიზმი აღიარებულ იქნა სახელმწიფო რელიგიად, ბუდიზმის გავლენა თანდათანობით გავრცელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალ სხვა ქვეყანაშიც.

ძველი ინდოეთის პოლიტიკური პრობლემები მოცემულია ასევე ვრცელ ტრაქტატში, რომელიც ცნობილია „ართხამასტრას“ სახელწოდებით. ტრაქტატი შედგენილი უნდა იყოს IV-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე. მის ავტორად თვლიან კაუტილიას. ართხამასტრა შეიცავს დაწვრილებით რჩევებს მეფისათვის ადმინისტრაციის, სასამართლოს, კანონმდებლობის, მმართველობისა და საშინაო თუ საგარეო ურთიერთობის საკითხებზე. ართხამასტრაც იზიარებს და ამოსავალ დებულებად დებულობს საზოგადოების დაყოფას კასტებად, მონობის კანონზომიერებას. მასში მოცემულია ძლიერი მეფის ხელისუფლების იდეა, იგი შიშს უნდა ჰგვირდეს ყველას. ნაწარმოების ავტორის აზრით, მეფე შემოქმედი უნდა იყოს. თუ იგი შემოქმედი, მაშინ მისი მსახურნიც შემოქმედნი იქნებიან.

ართხამასტრის მიხედვით მეფემ უნდა დაიცვას და შეასრულოს კანონები, მაგრამ თუ ზოგჯერ კანონები ცლებიან ან ეწინააღმდეგებიან მეფის ხელისუფლებას, მაშინ საკითხი უნდა გადაწყდეს საერთო სარგებლ-

იანობის თვალსაზრისით.

ართხმასტრაში მოცემულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები. შრომის ავტორი ქვეყნის შიგნით არეულობას უდიდეს უბედურებად თვლის და აღარებს მას იმ მდგომარეობას, რაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანთან გველის უშუალო მიახლოებას. სწორედ ქვეყნის შიგნით გადატრიალების საშიშროება აიძულებს ართხმასტრას ავტორს ეძებოს სხვადასხვა გზები და მეთოდები, რითაც განმტკიცებულ და შენარჩუნებულ იქნება საზოგადოებრივი წყობილება.

§4. ძველი ჩინეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგია

ჩინეთში პირველი მონათმფლობელური სახელმწიფო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის შუა ხანებში წარმოიშვა. ძველი ჩინეთის პოლიტიკური მოძღვრებანი მოცემულია ჩინელი ფილოსოფოსის *კონფუცის* ანუ იგივე *კუნ ფუძის* (551-479) შრომებში, ასევე წიგნში „ლუნ იუი“ („საუბრები და გამონათქვამები“), რომელიც შედგენილია მისი მოწაფეების მიერ. საუკუნეების განმავლობაში ეს წიგნი უდიდეს გავლენას ახდენდა ჩინელთა მსოფლმხედველობასა და ცხოვრების წესზე.

ტრადიციულ შეხედულებებზე დაყრდნობით კონფუცი ავითარებდა სახელმწიფოს პატრიარქალურ თეორიას, იგი სახელმწიფოს განმარტავს, როგორც დიდ ოჯახს, იმპერატორის („ცის შვილის“) ხელისუფლება მამის ხელისუფლების მსგავსია, ხოლო მმართველი ქვეშევრდომების ურთიერთობა - საოჯახო ურთიერთობებისა, სადაც უმცროსები ემორჩილებიან უფროსებს. კონფუცი გვევლინება მმართველობის არისტოკრატიული კონცეფციის მომხრედ. უბრალო ხალხი ჩამოცილებულია სახელმწიფოს მართვას.

იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ორ ფენას: კეთილშობილებსა და მდაბიოებს. მისი აზრით, კეთილშობილნი არიან ადამიანები, რომლებმაც უნდა მართონ საზოგადოება. რაც შეეხება მდაბიოებს, ისინი უნდა ემსახურებოდნენ კეთილშობილებს. კონფუცი მეტად ვრცელ დარიგებას იძლევა კეთილშობილთათვის. მისი აზრით, კეთილშობილებმა უნდა დაამყარონ სამაგალითო წესრიგი. ამისათვის თვითონ უნდა იქცეოდნენ კარგად და

ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა სიკეთისა და ბოროტების შესახებ. კონფუცი მოითხოვს წარჩინებულთა მორალურ სრულყოფას.

კონფუცი მმართველობის არაძალისმიერი მეთოდების მომხრეა. იგი მოუწოდებდა მმართველებს, ჩინოვნიკებსა და ქვეშევრდომებს თავიანთი ურთიერთობანი სათნოების საწყისებზე აეგოთ. ეს მოწოდება, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო მმართველებისადმი, რადგანაც მათ მიერ სათნოების მოთხოვნათა დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და განაპირობებდა ქვეშევრდომთა ქცევაში ზნეობის ნორმების პრიმატს.

ქვეშევრდომთა ძირითადი სათნოება, კონფუცის თანახმად, მდგომარეობს მმართველისადმი ერთგულებაში, ყველა „უფროსისადმი“ მორჩილებაში. მისი პოლიტიკური ეთიკა მიმართულია საზოგადოების ზედა ფენებსა და ქვედა ფენებს შორის შინაგანი მშვიდობის დასამყარებლად. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობაში ქონებრივი უთანასწორობის გადალახვას.

უარყოფითად აფასებს ასევე კონფუცი საგარეო ომებს, ჩინური სამეფოების დაპყრობით ლაშქრობებს ერთმანეთის ან სხვა ხალხების („ბარბაროსების“) წინააღმდეგ.

კონფუცი, როგორც აღვნიშნეთ, სათნოების ნორმების მიხედვით, პოლიტიკური ურთიერთობების რეგულირების მომხრეა. ამ მხრივ იგი მკვეთრად უპირისპირდება კანონების საფუძველზე მმართველობას. იგი აღნიშნავს, რომ თუ ხალხის მმართველობა განხორციელდება კანონების მეშვეობით და წესრიგის დაცვა მოხდება სასჯელთა შიშით, ხალხს გაუჩინდება მიდრეკილება თავი აარიდოს, გაექცეს სასჯელს და არავითარი სირცხვილის გრძნობა არ ექნება. თუ ხალხის ხელმძღვანელობა განხორციელდება სათნოების მეშვეობით, ხოლო წესრიგის დაცვა რიტუალის დახმარებით, ხალხს ექნება სირცხვილის გრძნობა და იგი გამოსწორდება.

მთლიანობაში სათნოება, კონფუცის განმარტებით, არის ეთიკურ-სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების ფართო კომპლექსი, რომელშიც შედის რიტუალის წესები (ლი), კაცთმოყვარეობა (ყენ), ზრუნვა ადამიანებზე (შუ), მოკრძალებული დამოკიდებულება მშობლებისადმი (სიაო), მმართველის ერთგულება (ჯუნ) და სხვა.

კონფუცის უარყოფითი დამოკიდებულება პოზიტიური კანონისადმი (ფა) განპირობებულია მისი ტრადიციულად დამსჯელობითი მნიშვნელო-

ბით, მისი კავშირით სასტიკ სასჯელებთან. ამასთან, კონფუცი მთლიანად არ უარყოფდა კანონმდებლობის მნიშვნელობას, თუმცა მას მხოლოდ დამხმარე როლს ანიჭებდა.

კონფუცის მოძღვრება საფუძვლად დაედო ჩინეთის რელიგიას; კონფუციანელობა ჩინეთის სახელმწიფო რელიგია გახდა, რომელიც კონფუცის გარდაცვალების შემდეგ საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა.

ძველი ჩინეთის პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს კონფუცის მოწინააღმდეგე მოაზროვნეს - მო-ძის (479-381 წწ. ჩვ. წ. აღ-მდე). მო-ძიმ ჩამოაყალიბა მოძღვრება „საყოველთაო სიყვარულის“ შესახებ. იგი ქადაგებდა ადამიანთა შორის კეთილ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით კი მებატონეთა და გამგებელთა კეთილ დამოკიდებულებას მღაბიოებისადმი. მო-ძი აკრიტიკებს გაბატონებულთა ფუფუნებაში ცხოვრებას, მონარქების გადამეტებულ ხარჯიანობას და მოითხოვს მშრომელი ხალხის საყოფაცხოვრებო და კულტურული დონის ამაღლებას. მისი აზრით, სიყვარულის უკმარობის გამო ხდება ყველა უბედურება, როგორცა: ძარცვა, იძულება, ძლიერთა მიერ სუსტების ჩაგვრა და სხვ. მო-ძი აკრიტიკებს სახელმწიფოში არსებულ მევახშეობას, გადასახადებით უზომოდ დაბეგვრასა და მინისტრების უპატიოსნებას. მო-ძი მოითხოვს, რომ მონარქი ზრუნავდეს ხალხის ბედნიერებაზე. იგი ასევე მოითხოვს, რომ მდიდრები შეურაცხყოფას არ აყენებდნენ ღარიბებს. თანამდებობაზე ადამიანთა დაწინაურება მოხდეს არა მარტო წარჩინებულთაგან, არამედ დაბალი ფენებიდანაც.

მო-ძი სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობის ხელშეკრულების თეორიას ქადაგებს. იგი მიუთითებს, რომ ოდესღაც ადამიანები ცხოვრობდნენ სახელმწიფოსა და კანონების გარეშე. რადგან მათ შორის ადგილი ჰქონდა კონფლიქტებს, ამოირჩიეს ჭკვიანი და გონიერი კაცი და ასე გახადეს იგი ხელმწიფედ. ხელმწიფეს დასახმარებლად მიჰგვარეს სამი მინისტრი. მო-ძი აღნიშნავს, რომ ადამიანებმა ხელმწიფე აირჩიეს არა იმისათვის, რომ იგი გამდიდრებულიყო და ეძარცვა ხალხი, არამედ იმისათვის, რომ დახმარებოდა ხალხს. მასასადამე, მო-ძი აკეთებს დასკვნას, რომ ხელმწიფის ხელისუფლება შეუზღუდავი არ უნდა იყოს. იგი საჭიროებისამებრ უნდა ეთათბიროდეს წარჩინებულებსა და ჭკვიან ხალხს.

მო-ძი ეხება ომების საკითხსაც. დაპყრობით ომებს იგი დანაშაულებ-

რივად თვლის. მოძის შეხედულებებს პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც იგი სასტიკი ექსპლოატაციისა და ჩაგვრის, ასევე მონარქის შეუზღუდავი ხელისუფლების წინააღმდეგ და სხვ. იყო მიმართული.

კონფუციანელობის საწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივ მოძღვრებას წარმოადგენდა *ლეიზში*, რომლის ძირითადი იდეები ჩამოყალიბებულია ძვ.წ. აღ-ის IV საუკუნის ტრაქტატში, „შან ძიუნ შუ“ („შანის ოლქის მმართველის წიგნი“). ტრაქტატის მთელი რიგი თავები დაწერილია თვით გენსუნ იანის მიერ (390-338 წწ. ძვ.წ. აღ-ით), რომელიც უფრო *შან იანის* სახელითაა ცნობილი. *ლეიზში*ს ეს გამოჩენილი თეორეტიკოსი და ფაძიას (ლეგისტების, მეკანონების) სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო შანის ოლქის მმართველი ცინის მთავრის სიაო-გუნის (361-339 წწ. ძვ.წ. აღ-ით) დროს.

შან იანი ასაბუთებდა კანონებსა (ფა) და სასტიკ სასჯელებზე დაფუძნებული მმართველობის აუცილებლობას. იგი აკრიტიკებდა მის დროს გავლენიან კონფუციანურ წარმოდგენებსა და იდეალებს მმართველობასთან დაკავშირებით (მიდრეკილება ძველი ჩვეულებებისადმი და რიტუალები-სადმი, ტრადიციული კანონებისა და ტრადიციული ეთიკისადმი და ა.შ.).

ლეგისტების შეხედულებები კანონების სისასტიკეზე, როგორც მმართველობის ძირითად საშუალებაზე, მჭიდროდაა დაკავშირებული მათ წარმოდგენებზე მოსახლეობასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის ურთიერთობაზე. ამ ურთიერთობებს ანტაგონისტური ხასიათი აქვთ. კერძოდ, „როდესაც ხალხი ძლიერია თავის ხელისუფლებაზე, სახელმწიფო სუსტია; როდესაც ხელისუფალნი ძლიერნი არიან თავის ხალხზე, არმია უძლეველია“.

შან იანისათვის სრულიად უცხოა შეხედულებანი ქვეშევრდომთა რაიმე უფლებებზე, კანონის ყველასათვის სავალდებულობაზე (მათ შორის კანონთა გამომცემთათვის), შან იანი წერს: „ბრძენი ქმნის კანონებს, ხოლო სულელი შეზღუდულია ამით“.

მმართველობის ორგანიზაციის საქმეში შან იანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხოვრებაში კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ოჯახები ჩინეთში იყოფოდა ხუთეულებად და ათეულებად, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი

იყვნენ წრიული თავდებობით. ასეთი გზით დანერგილმა ქვეშევრდომთა ტოტალური ურთიერთვალთვალის სისტემამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებაში.

ლეგისტურ შეხედულებებს შან იანის გარდა იზიარებდნენ ფაძიას სკოლის გავლენიანი წარმომადგენლები - ძი ჩანი, შენ ბუ-ხაი, ხან ფეი და სხვები. ამ სკოლის შეხედულებანი „შან ძიუნ შუს“ გარდა ჩამოყალიბებულია აგრეთვე სხვა ძველჩინურ წყაროებშიც, რომელთა შორისაც აღსანიშნავია „ხან ფეი ძი“. ამ ნაშრომის ავტორია ლეგისმის მსხვილი თეორეტიკოსი ხან ფეი (III საუკუნე ძვ. წ. აღ-ით). იგი ცდილობდა ზოგიერთი ძირითადი კონფუციანური და დაოსური ცნების ლეგისტურ ინტერპრეტაციას. მაგალითად, მმართველის უმოქმედობის პრინციპი, ხან ფეის განმარტებით, წარმოვედგება როგორც რაღაც იდუმალება, რომლითაც ქვეშევრდომებისათვის დაფარული უნდა იყოს ხელისუფლების განხორციელების მექანიზმი. მმართველობის იდეალს, მისი აზრით, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ქვეშევრდომებს არ ძალუძთ შეიცნონ მმართველობის საიდუმლოებანი. იცავდა რა კანონთა ბატონობის იდეას, ხან ფეი აკრიტიკებდა ჩინოვნიკთა თვითნებობას და უწოდებდა მათ უზურპატორებს.

ხან ფეი ლეგისტური დოქტრინის ჩარჩოებში მხარს უჭერდა კანონებისადმი მმართველობის ხელოვნების დამატებას. ამით იგი აღიარებდა, რომ არ არის საკმარისი მმართველობის განხორციელება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრ და სასტიკ კანონებზე დაყრდნობით. ამ მხრივ იგი გარკვეულწილად აკრიტიკებდა შან იანს და ცდილობდა კონფუციანელთა და დაოსთა ზოგიერთი იდეის ლეგისმის შეხედულებებთან შეხამებას.

იგი აუცილებლად თვლიდა კანონების შეცვლას დროის მოთხოვნათა შესაბამისად. კანონისადმი ისტორიული მიდგომა ლეგისტურ კონცეფციას უფრო მოქნილს ხდიდა და ხელს უწყობდა პოლიტიკური პრაქტიკისა და საკანონმდებლო პროცესისადმი მის მისადაგებას, ამ ძალისხმევის შედეგად უკვე II საუკუნეში ძვ.წ.აღ-ით ძველი ჩინეთის ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია შეიცავდა როგორც ლეგისმის, ისე კონფუციანელობის დებულებებს.

ძველი ჩინეთის პოლიტიკურ მოძღვრებებს შორის მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული მოძღვრებაა *დაოსიზმი*.

დაოსიზმის ფუძემდებლად ითვლება ლაო-ძი (VI ს. ძვ. წ.აღ-ით), მისი

შეხედულებანი ჩამოყალიბებულია წიგნში „დაო დე ძინი“ („წიგნი დაოსა და დეს შესახებ“). ლაო-ძი დაოს ახასიათებს, როგორც ცის მეუფეობისაგან დამოუკიდებელ საგანთა ბუნებით მსვლელობას, ბუნებრივ კანონზომიერებას. დაო განსაზღვრავს ცის, ბუნებისა და საზოგადოების კანონებს. იგი განასახიერებს უმაღლეს სათნოებას და ბუნებით სამართლიანობას. დაოს მიმართ ყველა თანასწორია.

დაოსიზმში მნიშვნელოვანია უმოქმედობის პრინციპი, აქტიური მოქმედებებისაგან თავის შეკავება.

ლაო-ძის თანამედროვე კულტურის, ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის, ხალხის უმძიმესი მდგომარეობის მიზეზი, მისი აზრით, არის ჭეშმარიტი დაოსაგან გადახვევა.

მკვეთრად აკრიტიკებდა და გმობდა ლაო-ძი ყოველგვარ ძალადობასა და ომებს, იგი მეფეებს მოუწოდებდა თავი შეეკავებინათ სხვა ქვეყნების დაპყრობისაგან, რადგან იქსადაც ჯარი იყო, მხოლოდ სარეველებიღა იზრდება. დიდი ომების შემდეგ შიმშილი იწყება. ლაო-ძის მიხედვით, ხალხის ჩაგვრა არ შეიძლება დიდი ხანი გაგრძელდეს, ისევე, როგორც არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ძლიერი წვიმა, ან ქარი.